ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 პარასკევი, 15 ივნისი. № 1495

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ქართული წარმოდგენა

ტფილისის საზაფხულო კლუბში

შაბათს, 16 ივნისს, 1901 წ.

ქართული თეატრის არტისტები: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელისა, ბ.ბ. გ. აბაშიძე, კ. მესხი და გ. გუნია.

გამართავენ პირველ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება

I

ჯერ დაიხოცნენ მერე დაქორწილდნენ

კომედია 2 მოქ. თავ. რ. ერისთავისა.

II

მოჭია

ვოდევილი 1 მოქ. ალ. ჩიქინაძისა.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია—**ექვს შაურიდან** მოყოლებული **მანათ-ნახევრამდე.** კლუბის არა წევრნი ბაღში შესვლისათვის იხდიან 50 კაპ.

დასაწყისი 9 საათზე.

ბილეთები იყიდება სათავად-აზნაურო თეატრში, ხოლო წარმოდგენის საღამოს კლუბის ბაღში. (3—2)

ტფილისის კერძო
სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

აკადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრობით—9—10 ს.

ნ. ა. მუღინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათამდე.

ი. ჰ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.

ე. გ. ფეოდოროვი შინაგანი და საბავშვო—1 საათ. 2-მდე.

ვ. დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო— 12½—1½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათამდე.

სადამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.

ა. ა. ბელოგოლოვი.—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.—5—6 საათზე.

ვ. მაღალაშვილი—კვირაობით—10—12 ს. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ავგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

სკოლა და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.

ოლგას ქუჩა (Ольгинская) № 13. (10—7)

ნოვოროდიცკის საიმპერატორო სამეურნეო სასწავლებლის მოსწავლე **ამზადებს რუსეთის ყველა საშუალო და დაბალ სამეურნეო სასწავლებლებისათვის ყმაწვილებს.** მსურველთ ვსთხოვ შემატყობინონ წერილით. შეუძლიან ოჯახში, ან საგარაკოთ წასვლა.

ჩემი ადრესი: Чiатуры. Виктору Іосифовичу Церетели. (1—6.—1)

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას:

რაჭის მაზრის ამბროლაურის ნაწილის ბოქაული შტაბს-კაპიტანი აბაშიძე დაინიშნა განჯის გუბერნიის საპოლიციო დარაჯთა ოფიცრად.

სევერსკის მე-45 პოლკის კორნეტი თავ. წერეთელი (ქუთაისის მაზრაში) ჩაირიცხა სათადარიგო მხედრობის ცხენოსან ჯარში.

სამოქალაქო უწყებას:

ბაქოს დამოენის ხაზინადარ კოლეჟსკი სეკრეტარს ტატიშვილს ებოძა ტიტულიარნი სოვეტნიკობა, ხოლო ბათუმის დამოენის კანცელარიის მოხელეს ავალიანს—კოლეჟსკი რეგისტრატორობა.

მცირე კრედიტის დაწესებულებანი

1895 წლის 1-ლ ივნისს გამოიცა საყურადღებო კანონი მცირე კრედიტის დაწესებულებათა შესახებ. მთავრობამ ყურადღება მიაქცია სოფლის მცხოვრებთა და, საზოგადოდ, წვრილ მეურნე-მრეწველთა გაჭირვებულ მდგომარეობას და გადასწყვიტა მიეშველოს მათ. ეს გაჭირვებული მდგომარეობა გამოიხატება იმაში, რომ წვრილ მეურნეთ და მრეწველთ, უმეტესად სოფლებში, მეტად გაძნელებული აქვთ ფულის შოვნა სესხად. მაშინ, როდესაც ქალაქის მცხოვრებს, ბევრად თუ ცოტად, გაადვილებული აქვს კრედიტის საქმე, სადგანაც ქალაქებში ბევრგვარი საკრედიტო დაწესებულება არსებობს, სოფლის ხალხი ძალაუნებურად უნდა გაებას ჩარჩის ქსელში.

ჩვენს დროში სოფლელსაც აღარ შეუძლია ფეხი გადადგას უფულოდ. ყოველგვარი გაუმჯობესება მეურნეობაში, ნაწარმოებისთვის რიგიან ბაზრის მოპოვება და სხვა დაწყება-განზრახვა—ყოველივე ფულს მოითხოვს: ჩვენ არას ვამბობთ იმ ყოველ დღიურ და სამუდამო საჭიროებათა შესახებ, რომელნიც სულსა და გულს უხუთავენ სოფლის მცხოვრებთ და რომელთა დასაკმაყოფილებლად აგრეთვე საჭიროა ფული.

ამ საქმის უებარი წამალია—საკრედიტო დაწესებულების რიგიანი მოწყობა. დასავლეთ ევროპაში ამ ჟამად მოცებულია სხვა და სხვა ტიპის საკრედიტო დაწესებულება. მათის მეოხებით, ხელმოკლე მეურნეს ან მრეწველს შეძლება აქვს გაჭირვების დროს ხელი ადვილად გაიმართოს.

მეტად საინტერესოა ამ დაწესებულებათა ორგანიზაცია და სვე-ბედი და ჩვენ ვეცდებით შემდეგში გავაცნოთ ისინი მკითხველთ; ახლა კი გვინდა ორიოდე სიტყვა ვთქვათ იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია მცირე კრედიტის საქმე რუსეთში და ჩვენში.

რუსეთში მცირე კრედიტის დაწესებულებათა დაარსება იწყება მესამოცე წლებიდან, მაგრამ უმეტესად ეს საქმე გაცხოველდა მე-70 წლებში. მაშინ სოფლებში ბევრგან დაარსდა მარტივი ბანკები—სოფლის შემნახველ-გამსესხებელი კასსები და აგრეთვე სავაჭრო დამხმარებელი საზოგადოებანი, ჩვენში უფრო ცნობილნი დეპოს სახელით. საუბედუროდ, ამ დაწესებულებათა საქმე თავშივე ვერ წაიდა კარგად: გამოუცდელობა, ბანკების მმართველთა უსინიდისობა, თანხის ნაკლებობა და სხვა ამგვარი მიზეზი წინ გადაეღობა ახალს საქმეს და მცირე კრედიტის დაწესებულებათ სახელი გაუტყდათ. ხსენებულს დროში რუსეთში დაარსებულ იქმნა 300-ზედ მეტი დეპო-ბანკი, მაგრამ მათგან ნახევარზედ მეტი მაშინვე დაიხურა, დანარჩენთაგან-კი მხოლოდ მცირე რიცხვმა მოაღწია ჩვენს დრომდე.

ამავე დროს განმავლობაში კრედიტის საჭიროება თან-და-თან მატულობდა; სოფელი უფრო მეტ გასაჭირში ჩავარდა; ჩარჩობა გაძლიერდა, მოითხოვდა შველას და მთავრობამ განიზრახა ჩარევა სოფლის კრედიტის საქმეში. თავდაპირველად ყურადღება მიაქციეს მცირე კრედიტის დაწესებულებათა მმართველობათ. რადგანაც ბევრი ბანკი-დეპო დაჰღუპა მმართველთა ბოროტმოქმედებამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავს იდო მმართველ ორგანოების მოქმედების კონტროლი. ამ გზით შესაძლებელი გახდა დაწესებულებათა უზრუნველ ყოფა და მაშინ ყურადღება მიექცა ბანკის გავრცელებისა და მათ თანხმების გაძლიერების საქმეს. ამ მხრით რუსეთის შიდა გუბერნიების სოფლებს დიდი სამსახური გაუწია ერობამ, რომლის მაცადინეობით ბევრგან დაწესდა და გამაგრდა მცირე კრედიტის დაწესებულება.

მთავრობის, ერობის და თვით სოფლის დიდი ხნის ცდამ ნაყოფი მოიტანეს. რუსეთში ეხლა მცირე კრედიტის საქმე უფრო სწორ გზაზე დადგა და მალე იქაური წვრილი მეურნე ანუ მრეწველი ისე შევიწროებული აღარ იქნება ჩარჩისაგან, როგორც იყო და ან როგორც, მაგალითად, ჩვენშია დღესაც. ჩვენებურ სოფლებში კრედიტის საქმე სრულიად მოუწესრიგებელია. ორიოდე სოფელში არსებობს ამგვარი დაწესებულება, დანარჩენებში-კი დათარეშობენ ჩარჩები. ხალხი მონად გაუხდა მათ და სოფელში გამეფდა სხვა ტიპის, მაგრამ ისეთივე საშინელი, ბატონ-ყმობა, როგორიც გლეხთა განთავისუფლებამდე იყო. საჭიროა, ამ ახალს ბატონ-ყმობასაც ეშველოს რამე, თორემ ჩვენი სოფელი სრულიად განადგურდება და ხალხი დაუძლურდება. ხოლო ხალხის დაუძლურებას რა მოჰყვება, ხომ ყველამ კარგად ვიცით?!..

რასაკვირველია, მარტო საკრედიტო დაწესებულებანი ვერ უშველიან სოფელს. ბევრი რამ არის იქ მოსაწყობ-გასაკეთებელი, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ წესიერად მოწყობილი კრედიტი დიდად შეამსუბუქებს წვრილ-მეურნის ყოფა-ცხოვრებას და თვალსაჩინოდ გაუმართავს მას ხელს. სოფლის გულშემატკივართა მოვალეობაა ამ მხრით მიეშველონ მეურნე-მრეწველთ და უჩვენონ მათ გზა, თუ როგორ შეიძლება სოფელმა თავი დაიხსნას ჩარჩის ქსელიდან წესიერად დაყენებულის კრედიტის მეოხებით. ამ საქმეში მათ დიდ დახმარებას აღმოუჩენს ზემოხსენებული კანონი, რომელმაც ძალიან გააცხოველა რუსეთში მცირე კრედიტის საქმე. ეს კანონი ადვილად მოსახერხებელ საქმედ ჰქმნის მცირე კრედიტის მოწეს-რიგებას სოფელში, რადგანაც მთავარ როლს თავის თავზე ღებულობს თვით ხაზინა. კანონით, სახელმწიფო ბანკი მოვალეა გაიღოს თანხა სოფლის ბანკის დაარსებისათვის. ამ საშუალებით საქმე ადვილდება და სოფლის მეთვალყურე-გულშემატკივართ, თუ ცოტათი გაანძრიეს ხელი და მოისურვეს, არ გაუჭირდებათ ამ საჭირო საქმის მოწყობა-გაძღოლა. მათ საყურადღებოდ ჩვენ საჭიროდ ვთვლით თითქმის სიტყვა სიტყვით გადავცეთ 1895 წლის დებულება მცირე კრედიტის შესახებ და აგრეთვე დავბეჭდოთ ნიმუშად რუსეთის ერთის ამგვარის დაწესებულების წესდება. ეხლა მრავალი შეგნებული ხალხი სოფლად მიდის საგარაკოდ და ურიგო არ იქნება, იქაურ ინტელიგენტთა დახმარებით გააცნოს სოფელს საკრედიტო დაწესებულების უპირატესობანი და აგრეთვე მისი დაარსების წეს-რიგი.

1895 წლის დებულების, საკრედიტო დაწესებულების წესდებისა და მის დაარსების წეს-რიგის ბეჭდვას ხვალიდანვე დავიწყებთ.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

12 ივნისი.

პეტერბურგი. 12 ივნისის ბიულეტენი: „დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის განკურნება მშობიარობის შემდეგ ნორმალურად მიდის; თავს კარგად გრძნობს; ახლად დაბადებული დიდი მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასული კარგად ბრძანდება“.

დიდ მთავრინას მონათვლენ 17 ივნისს.

11 ივნისის ბიულეტენი: „დიდი მთავრინა მარიამ გიორგის ასული კარგად გრძნობს თავს; ახლად დაბადებული მთავრინა ნინო გიორგის ასული კარგად ბრძანდება».

სამარა. 12 ივნისს, დილის 3 საათზე, ცეცხლი წაეკიდა და დაიღუპა ანიკინის გემი „სოიუზ».

ოდესსა. ნავთსადგურისა და ზოგიერთ ქარხნების დათვალიერების შემდეგ გზათა მინისტრი გაემგზავრა პეტერბურგისაკენ.

ლოძი. გუშინ ლოძის მიდამოებში დიდი წვიმა მოვიდა; ბევრი ზარალი მოუვიდა სამაზრო ქალაქის ლასკის მცხოვრებთ; წყალი შევიდა სარდაფებსა და ქვემო სართულებში. ელვამ რამდენიმე მსხვილ-ფეხა საქონელი მოჰკლა. კალიშის რკინის გზაზე ბევრი ახლად დაწყებული მუშაობა ნიაღვარმა დააზიანა.

ბუხარესტი. მინისტრ-პრეზიდენტმა სტურძამ სადღესასწაულო სადილი გაუმართა ფონტონს, რომელიც უკვე ათი წელიწადია რუსეთის ელჩის მოვალეობას ასრულებს ბუხარესტში.

ეროვნული

ტიანძინი. ტაიენფუდან იტყობინებიან, რომ ხმა არისო, ვითომც ტუნფუსიანი ხსენებულ ქალაქისაკენ მოდის ჯარით. შანსის გუბერნატორმა დახმარება სთხოვა უცხოელთ.

სტოკჰოლმი. მეფე ოსკარმა სეიმის დადგენილება სახელმწიფოს დაცვის ახალი ორგანიზაციისა და სამხერო ბეგრის ახალი კანონის შესახებ დაამტკიცა. ამ დამტკიცების დასასრულ მეფე ამბობს: „სახელმწიფო საბჭოს ყველა წევრების თანხმობით, სეიმის დადგენილებას ვამტკიცებ, მაგრამ ამასთანავე გადაწყვეტით ვაცხადებ, რომ სახელმწიფოს დაცვის საქმე ამით საბოლოვოდ არ გადაწყვეტილა“.

ბერლინი. „რეიხსანცეიგერ“-ში გამოცხადებულია, რომ რუდოლფ ვირხოვი მეცნიერებისა და ხელოვნებისათვის დაწესებულ ორდენ „პურ ლე მერიტ“-ის კავალერად აარჩიეს და დაამტკიცეს კიდეცაო; ვირხოვს ხმის უფლებაც ექმნება.

ლეიპციგი. საიმპერიო სასამართლოს სისხლის სამართლის პირველმა პალატამ, რომელიც სახელმწიფო დამნაშავეების საქმეს იხილავს, გუშინ, საიდუმლო სხდომაში, დაადგინა, რომ მუშა ვეილანდი ბრემენიდან, სამართალში არ მიეცესო და ეს საქმე სრულებით მოისპოსო.

ლონდონი. ბარკლი-ისტიდან იწერებიან, რომ ბურების უფროსი ფუშე ორის რაზმით გრენალმონდისაკენ წავიდაო. ბურების სადარაჯო რაზმებმა, ბარკლი-ისტიდან ექვსი მილის მანძილზე, თოფები ესროლეს ბრიტანიის სადარაჯო რაზმებსაო.

ჩიფუ. კორეის საზღვრიდან, სადაც უწესოება გაჩნდა, აქ კაცები მოვიდნენ; ესენი ამბობენ, რომ 3 რუსის და 2 ინგლისის სამხედრო გემი დგას იალუს შესართავშიო.

პარიზი. სენატის სამხედრო კომისიამ პრინციპიალურად მოიწონა კანონ-პროექტი სამხედრო სამსახურის ვადის შემცირების შესახებ.

ლონდონი. აქ მოვიდა ბურების სარდალი ვოლიე, რომელსაც საქმე აქვს ბურებისაგან მონდობილი ლეიდსთან. ვოლიემ სთქვა, რომ საფუძველს სრულიად მოკლებულია ხმა, ვითომც ბოტას უკვე გარდაუწყვიტოს ომის შეწყვეტა. ბოტას უკანასკნელ ბრძანებაში მხედრობის მიმართ ნათქვამია, რომ მშვიდობიანობის ჩამოგდება მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, თუ სამხრეთ-აფრიკის ორთავე რესპუბლიკას მიენიჭება დამოუკიდებლობა და აგრეთვე თუ ეპატიება კაპის იმ ჰოლანდიელთ, რომელნიც იარაღით ხელში მიეშველნენ ბურებს. ვოლიე ამბობს, რომ ბურების საქმე ამ ჟამად კარგად არისო.

პარიზი. გენერალ ვუარონის დეპეშაში ნათქვამია, რომ 9 ივნისს ჩინეთიდან წამოვიდა ტულონისაკენ გემი „ვინლონგ“, რომელზედაც იმყოფება ზუავთა ერთი ბატალიონი და ახალ-შენთა ქვეითი რაზმი.

ბრემენი. გაზეთ „ვეზერ ცაიტუნგ“-ის სიტყვით, მუშა ვეილანდი, რომელმაც ამას წინად დანა ესროლა იმპერატორ ვილჰელმს, გიჟების სახლში დააბინავეს, რადგანაც სულით ავადმყოფი აღმოჩნდა.

ბერლინი. ვეილანის წინააღმდეგ სასამართლოში დაწყებული საქმე მოისპო, თანახმად უმაღლეს სასამართლოს პროკურორის წინადადებისა. გაზეთი «ნორდდოიჩე ალგემეინე ცაიტუნგ“-ი ამბობს, რომ ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია იმპერატორის წინააღმდეგ ბოროტ-განზრახულებასაო! იმპერატორი იმ დღეს იმგვარ მოულოდნელ გარემოებათა მსხვერპლად შეიქმნა, რომელნიც იშვიათად ხდებიან ხოლმეო.

შანჰაი. გერმანიაში მომავალ მისსიის მეთაური, პრინცი ჩუნი პეკინიდან 29 ივნისს გავა, ხოლო შანჰაიდან გერმანიაში 7 ივლისს წავა. აქ ამბობენ, რომ იმპერატორის სახლობა, როცა პეკინში წამოვა, ჯერ ტიანძინში მოვა და აქედან რკინის გზით პეკინში წავაო.

პარიზი. სახელმწიფო სასამართლო. დღევანდელ სხდომის დროს მოწმეებისგან ჩვენების ჩამორთმევა დაიწყეს. ზოგიერთი პოლიციის კომისარი ჩვენებას ძლევა, რომ ვნახეთ, როგორც ლიურ-სალიუსი და გერენი ერთად ან ლონდონში მიდიოდნენ, ან იქიდან ბრუნდებოდნენო. გენერალ ცურლინდენი ამბობს, რომ მისი აზრით, ფელიქს ფორის დასაფლავების დღეს, დერულედის მიერ ჩადენილი ამბავი არ იყო წინადვე დამზადებულიო. ოფიცრებს სულაც არ უფიქრიათ, რომ თავიანთ მოვალეობისათვის ეღალატნათ. ჯარი არასოდეს არ მოიქცევა თავის მოვალეობის წინააღმდეგ. ამის შემდეგ პოლიციის პრეფექტს ფლორენტინს ჩამოართვეს ჩვენება.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ბროდრიკი აცხადებს, რომ ბოლონდელი ცნობების მიხედვით კაპის ახალშენში თოფ ქვეშ ათასი ანუ ორი ათასი ბურია და რომ ყოველ კვირა ინგლისს სამხრეთ-აფრიკაში სამხედრო ხარჯად 1.250.000 გირვ. სტერლ. სჭირდებაო.

იოკაჰამა. ფლოტის ალლუმის დროს, ჩუშიმის ახლოს, იაპონიის სამი ნაღმიანი გემი დაეჯახა ერთმანერთს და, როგორც ამბობენ, ერთი მათგანი ჩაძირა და რამდენიმე კაცი დაიხრჩო.

ბერლინი. „ნაციონალ ცაიტუნგ“-ი სწერს, რომ ლეიპციგის ბანკის გაკოტრებას არავითარი დამოუკიდებულობა არა აქვს საზოგადოდ გერმანიის ბანკებისა და ნამეტნავად დიდი ბანკების მდგომარეობასთანაო. ჯერ კიდევ გუშინ ამ ბანკებს მსჯელობა ჰქონდათ, უშველონ ლეიპციგის ბანკს, თუ არა, მაგრამ მერე ეს შველა აურჰყვეს იმ საბუთით, რომ დეე, რაც კი სუსტი ბანკი არსებობს, დაიღუპოს და აღარ არსებობდესო.

კაპშტადტი. რეიტცთან მომხდარ ბრძოლის თაობაზე, სადაც დევეტს ფურგუნები წაართვეს, ეხლა დაწვრილებითი ცნობები მოვიდა. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ ინგლისელები უცებ დასცემიან ფურგუნების ქარავანს; ბურები გაქცეულან, მაგრამ როცა დაუნახავთ, რომ ინგლისელები ცოტა არიანო, უკან დაბრუნებულან და გულადად დასცემიან; რადგანაც ბურები რიცხვით სჭარბობდნენ ინგლისელებს, თავგანწირული ბრძოლის შემდეგ ისევ დაიბრუნეს თავიანთი ფურგუნები. ამ დროს ინგლისელი პოლკოვნიკი დელილი მაშველი ჯარით მოვიდა: ხელმეორედ დიდი, მეტად ფიცხი ბრძოლა დაიწყო; ბურები ფურგუნებს ქვეშ იწვნენ და განუწყვეტლივ თვლებს შუა თოფებს ესროდნენ. ამავე დროს ამათი ამხანაგი საჩქაროთი ხარებს აბამდნენ და ის ფურგუნები მიჰქონდათ, რომლებიც ინგლისელებზე დაშორებით იდგნენ. ამ დროს ინგლისელები ფურგუნებს ეცნენ და რამდენადაც კი შეიძლებოდა, ხიშტებით დაერივნენ ბურებს; სროლით კი მხოლოდ ახლოდან ესროდნენ. ბურების უფროსმა დელარეიმ თითონ პირადათაც მიიღო ბრძოლაში მონაწილეობა; მის გვერდზე ერთი ბური მოკლეს, ხოლო მეორე გვერდით ერთი ბური დასჭრეს. ბოლოს, ყველგან აქა-იქ ძლიერი ბრძოლა გაიმართა, იბრძოდნენ ხელდახელ და გულ და გულ. დაბოლოს ბურები უკუ აგდეს ინგლისელებმა. ორივე მხარე დიდის მამაცობით იბრძოდა. ინგლისელებმა დავლად 71 ფურგუნი აიღეს; დევეტის შტაბის ოფიცერი დასჭრეს და ტყვედ წაიყვანეს.

«კაპ ტაიმს»-ის ცნობით, კაპის პარლამენტის წევრი, ალივალნორტის დეპუტატი, ბოტა ბურებმა ტყვედ წაიყვანეს და გაროზგეს, რადგანაც ცუდად მოიქცა, როცა სახელმწიფო ღალატის შესახებ კენჭის ყრა იყო. მისიფერმა დასწვეს.

პეტერბურგი. გენერალი ფონ-მოლტკე და მასთან ერთად მოსული გერმანიის სამხედრო დეპუტაცია ალექსანდრიაში ხელმწიფე იმპერატორს წარუდგნენ. მისმა უდიდებულესობამ გერმანიის საახალშენო ფორმა დაათვალიერა.

მიუნხენი. დღეს პრინც-რეგენტმა მინისტრი კრაილსგეიმის თანადასწრებით, რუსეთის აქაური ელჩი ბარონ როზენი გამოსამშვიდობებელ აუდიენციით მიიღო. ბარონროზენი დღეს სადილად პრინც რეგენტთან იყო.

ტიანძინი. გუშინ საღამოს გაიმართა ნადიმი ტიანძინის განთავისუფლებიდან ერთის წლის შესრულების გამო. თავმჯდომარემ გერმანიის კონსულმა ციმმერმანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც ქებით მოიხსენია რუსეთის სარდლების ადმირალის ალექსეევის და გენერალის ვოგაკის, ინგლისის კაპიტნებისა ბორკისა და ბეილის და აგრეთვე ჯემს უატტის მამაცობა. სხვა ორატორებმა ქებით მოიხსენიეს რუსეთის მე-12 პოლკის გმირობა.

ვაშინგტონი. ხაზინის მდივანმა სთქვა გუშინ, რომ მას რომ შეეძლოს ერთი საათი ებაასოს რუსეთის ფინანსთა მინისტრს, ვიტტე გააგებინებდა მას, რაში ცდება გეჯი, ხოლო გეჯი გაამართლებდა თავის მოქმედებას. ის დარწმუნებულია, რომ ვიტტე და გეჯი შეთანხმდებიან. გაზეთებით პოლემიკა კი, გეჯის აზრით, სრულიად უიმედო საქმეა. ხოლო, რადგანაც პირისპირ მოლაპარაკება შეუძლებელია, ძალა-უნებურად უნდა მიჰმართონ ჩვეულებრივს წესრიგს, ორ სახელმწიფოთა მოლაპარაკებისათვის დაწესებულს.

ხაზინის მდივნის თანაშემწედ ნამყოფი ვანდერლიპი, რომელიც ეხლა-ხან ჩამოვიდა რუსეთიდან, ამბობს, რომ ვიტტე მეგობრულად უყურებს ამერიკას და არ სურს სატარიფო ომის გამოცხადება.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

ყურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. «სტანდარდ»-ი უწყება, რომ ლიბერალ-იმპერიალისტები უფრო-და-უფრო ძრიელ უწყრებიან კემპბელ-ბანერმანსსაო, რომელმაც გაბედა და «ბურების მომხრე» გარკორტთანა და მორლეისთან ერთად კრებას დაესწროო. «საბუთი გვაქვს ვიფიქროთ,—ამბობს «სტანდარდ»-ი, რომ ის განხეთქილება რომელმაც ჯორჯ ლლოიდის წინადადების თაობაზე კენჭის ყრის დროს იჩინა თავი, სამუდამოდ დარჩეს. ლიბერალ-იმპერიალისტები იმ აზრისანი არიან, რომ ის პირობა, რომლის ძალითაც ყველა ლიბერალები შეთანხმდნენ და კემპბელ-ბანერმანი თავიანთ წინამძღოლად აღიარეს, დაირღვა მას აქეთ, რაც ამ წინამძღოლმა წარსულ პარასკევს მომხდარ კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა. ამას გარდა, ბანერმანი უფრო წინააღმდეგაც მოიქცა, როცა ლლოიდ ჯორჯის წინადადების თაობაზე კამათი იყოო. ამიტომ ლიბერალ-იმპერიალისტები ყველა იმ საქმეებში, რომლებიც სამხრეთ-აფრიკის ომს შეეხება, ცალკე დამოუკიდებლად მოიქცევიან და შერიგება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ამას თითონ ომის მოწინააღმდეგეები მოინდომებენ».

ამავე საგნის თაობაზე ლონდონიდან «რუსსია»-ს სწერენ შემდეგს: «7 ივნისს ლიბერალ-იმპერიალისტების წინამძღოლმა ასკვიტმა სიტყვა წარმოსთქვა სამხრეთ-აფრიკის ომის თაობაზე და ის აზრი გამოსთქვა, რომ ბურების რესპუბლიკები უსათუოდ უნდა შემოიერთოს ინგლისმაო. ამ სიტყვის შემდეგ ლიბერალთა შორის კიდევ ახალი განხეთქილება მოხდა».

✡ «დეილი ნიუს»-ში დაბეჭდილია წერილი, მიმართული ყველა იმ სახელმწიფოებისადმი, რომლებმაც ჰააგის კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს. ამ წერილზე ხელი უწერიათ დიდ-ძალ ევროპიელ ლიტერატორებს, მეცნიერებს და სხვათა, მაგალითად, ვირხოვს, იოკაის, ბიერნსონს, ემილ ზოლას, ლომბროზოს, მოგზაურს შვეინფურტს და მრავალს სხვასა. წერილი იხსენიებს, რომ ინგლისის ქცევა სამხრეთ-აფრიკაში იმ დადგენილებათ ეწინააღმდეგება, რომლებიც ჰააგის კონფერენციის დროს ყველა სახელმწიფოებმა მიიღესო. შემდეგ წერილი იხსენიებს, რომ ყველა სახელმწიფო მოვალეა, ყოველნაირად ეცადოს, რათა ყოველი საერთაშორისო უთანხმოება სამედიატორო სამართლით სწყდებოდეს. წერილის ავტორები პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკები მთავრობას და ინგლისს შეუერთდეს, რადგახაც ინგლისმა სამედიატორო სამართალზე უარი განაცხადა და ამით ომის გამოცხადება აუცილებელი გახადაო.

სამხრეთ-აფრიკა. «ტაიმს»-ის ლონდონელი კორრესპონდენტი ამნაირად გვიხატავს სამხრეთ აფრიკის საქმეთა მდგომარეობას:

«როგორც ეტყობა, ამ ბოლო დროს ბურებმა საკმაოდ ბევრ რაზმებს მოუყარეს თავი ორანჟეს რესპუბლიკის ჩრდილოეთში და თანაც ამათ სიმარდის და სწრაფი მოძრაობის მხრივ არაფერი არ დაჰკლებიათ. დეპეშებიდან უკვე ვიცით, რომ რეიტცს ახლო ინგლისელებს დევეტის რაზმთან შეტაკება მოუვიდათ. როგორც კაპშტადტიდან იუწყებიან, «მოჩვენება სარდალმა» თავის უფროსობის ქვეშ რამდენიმე რაზმი შეიერთაო. «სტარ»-ი ამბობს, რომ დევეტის გამოჩენა უფრო საშიშარი ამბავია, ვიდრე ვიდმანსროუსთან დამარცხებაო. ის ცნობა კიდევ, რომ დევეტს 70 ფურგონი ჰქონია და 4000 ხარი ჰყოლია, ამტკიცებს, რომ ბურები სულაც არა ყოფილან დამშეულები. მეორეს მხრით, «დეილი მაილ»-ი იუწყება, რომ ბურების მრისხანე სარდალი ბეიერიც ზანდ-რივერ-პორტში დაბანაკდა, ვარმბადიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 30 მილის მანძილზეო. ეს ადგილი სრულიად მიუვალი ადგილია. სტანდერტონიდან ცნობა მოვიდა, რომ ბურებს განზრახვა აქვთ მდინარე ვაალში გავიდნენ და ბოტას შეუერთდნენო. ბევრს სჯერა ეს ცნობა, რადგანაც ბურები რამდენსამე ადგილას ეცადნენ ინგლისელების ჯარის წრე გაერღვიათ, მაგრამ ბურებს არა აქვთ ჩვეულებად ერთად მოიყარონ თავი, როცა სადმე წასვლა სწადიათ, პირიქით, ამისთანა შემთხვევის დროს ისინი იფანტებიან. უნდა ვიფიქროთ, რომ ბურები განგებ ცდილობდნენ ჯარების გარღვევას: ბურებს, ეტყობათ, სხვა გეგმა აქვთ შედგენილი და უნდათ, რომ ინგლისელებს არ გააგებინონ.

✿ თუმცა თითონ ტრანსვაალის ელჩმა ლეიდსმა უარჰყო ის ცნობა, ვითომც ბულლერი და ფრენჩი ტყვედ ჰყვანდათ წაყვანილი ბურებსაო, მაგრამ ვინ უგდებს ყურს, გაზეთები მაინც დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ორივე გენერალი ნამდვილად ტყვედ ჰყვანდათ ბურებსაო. გერმ. გაზ. «რეინ. ვესტფ. ცაიტუნგ»-ის კაპშტადტელი კორრესპონდენტი შემდეგს იუწყება:

«ნამდვილად ვიცით, ისიც თითონ ქ-ნ ბოტასაგან, რომელიც წარსულ კვირას აქედან ინგლისს გაემგზავრა, რომ გენერალი ფრენჩი ორჯელ იყო დატყვევებული, მიცემული პატიოსანი სიტყვა დაარღვია და თოფით უნდა დაეხვრიტათ, მაგრამ ლორდმა კიტჩენერმა, რომელსაც გენერალ ბოტამ სამხედრო სასამართლოს განაჩენი შეატყობინა, უშველა ფრენჩს. ბოტამ ფრენჩი გაანთავისუფლა და სანაცვლოდ კიტჩენერს 1000 ტყვე ბური გაანთავისუფლებინა სიმონსტაუნიდან. ეს ნამდვილი, უტყუარი ამბავია».

გაზეთები დასძენენ, რომ ამის შემდეგ ფრენჩზე დიდი ხანი არა ისმოდა-რაო; შემდეგ უცებ გამოაცხადეს, რომ ფრენჩი ავად არისო; მერე დეპეშა მოვიდა, რომ ფრენჩი მორჩა და კიტჩენერმა კაპის ახალშენში გაგზავნა შესეულ ბურების წინააღმდეგ საბრძოლველადაო. მაშასადამე, ორანჟესა და ტრანსვაალის რესპუბლიკებში მოქმედება პირობის ძალით არ შეუძლიანო, უმატებენ გაზეთები. რამდენიმე კვირაა, რაც ფრენჩი კაპის ოლქის ჯარის უფროსად დაინიშნა და ჯერ არაფერი არ გაურიგებიაო. თუ გავიხსენებთ,—ამბობს ერთი გაზეთი,—რომ ფრენჩი მეტად მხნე და მოხერხებული სარდალია,—და აქამდე უსათუოდ თავს აცნობებდა ბურებს,—ძალა უნებურად ეჭვი გვებადება: მართალია ის ცნობა, ვითომ ფრენჩი სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობას იღებსო!

შემდეგ ხსენებული კორრესპონდენტი იუწყება, რომ ქ-ნ ბოტა ევროპაში კიტჩენერის თხოვნით კი არა, პირდაპირ პრეზიდენტ კრიუგერის სანახავად წავიდაო. ქ-ნ ბოტას უთქვამს, რომ მისი ქმარი, ვიდრე ერთი კაცი მაინც ჰყავს და ერთი პატრონა მაინც აქვს, ბრძოლაზე ხელს არ აიღებსო. არავითარი ეჭვი არაა,—შენიშნავს კორრესპონდენტი,—რომ, თუ საჭირო იქნება, ბურები კიდევ რამდენსამე წელიწადს გა-

ნაგრძობენ ბრძოლას, ხოლო ინგლისს ამდენხანს ბრძოლა ხელს არ მისცემსო. ინგლისის ჯარი სამხრეთ-აფრიკაში მეტად გაწირვებულ, აუტანელ მდგომარეობაშია ჩავარდნილი.

საფრანგეთი. ვიდრე უმაღლესი სასამართლო გრაფ დიურ-სალიუსის საქმის გარჩევას შეუდგებოდა, გამოძიება იყო დანიშნული. უმთავრესმა პროკურორმა ბერნარმა მოწმედ პოლიციის პრეფექტად ნამყოფი ბლანი, ეხლანდელი პრეფექტი ლეპინი, გენერლები ცურლინდენი და ფლორენტანი და მაიორი ბაზერი დაიბარა. პროკურორმა ამ პირებს ჩვენება ჩამოართვა იმ ამბების შესახებ, რომლებიც ფელიქს ფორის დასაფლავების დღეს მოხდა. ამათმა ჩვენებამ უნდა გამოარკვიოს იმ ხმების სიმართლე, ვითომ ჯარები, რომლებიც იმ დღეს პარიზში იმყოფებოდნენ, ბოლოს დროს სულ სხვანაირ გეგმაზე დააყენეს ქუჩებშიო. როგორც ცნობილია, დერულედმა გამოაცხადა, რომ მხოლოდ ამ ცვლილების გამო არ შესრულდა ჩემ მიერ განზრახული შეთქმულობაო. გაზეთების სიტყვით, ბრალმდებლის მოწმე შვიდზე მეტი არ იქნებაო. რაც შეეხება, თვითონ დიურ-სალიუსის მოწმებს მათი გვარები ჯერ არ იციან, რადგანაც თვით როიალისტების გაზეთებიც დიდ ყურადღებას არ აქცევენ დიურ-სალიუსის პროცესს.

შვეიცარია. ჰააგის სამშვიდობო კონფერენციის მინდობილობით, შვეიცარიის კავშირის საბჭომ სხვა-და-სხვა სახელმწიფოებს მიჰმართა თხოვნით, რომ ჟენევის ხელშეკრულობა ომის დროს დაჭრილთა დაცვის შესახებ გასინჯონ და შეიცვალონო. როგორც ბერნიდან იწერებიან, საფრანგეთმა, ინგლისმა, იტალიამ და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე თანხმობა გამოაცხადეს, რომ ეს კონვენცია ხელმეორედ განიხილონ, ხოლო ინგლისი იმ პირობით დასთანხმდა, რომ კონფერენცია სამხრეთ-აფრიკის ომის გათავების შემდეგ მოხდესო. გერმანიისა და ავსტრიისაგან ჯერ პასუხი არა მიღებული, მაგრამ კავშირის საბჭოს ცნობა მოუვიდა, რომ ეს სახელმწიფოებიც დასთანხმდებიან კონფერენციის მოწვევასო. კონფერენციის სხდომები, ალბად, ჟენევაში გაიმართება.

იტალია. დეპუტატთა პალატაში, ბიუჯეტის განხილვის დროს, სონნინო მთავრობას დეეკითხა იმ უწესოების თაობაზე, რომელიც ამას წინად მოხდა. სონნინომ ეს მოძრაობა კრიტიკულად გაარჩია და დასასრულ დიდი საყვედური გამოუცხადა მთავრობას. ცენტრმა ძალიან მოიწონა მისი სიტყვა და ტაშის ცემით დააჯილდოვა, ხოლო უკიდურეს მემარცხენეთ თავიანთი უკმაყოფილება და წყრომა ხმა მაღლივ გამოუცხადეს.

ახალი ამბავი

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ბ. ზავადსკიმ დანიშნა განსაკუთრებული მოხელეები, რომელთაც თვალ-ყური უნდა ადევნონ მოსწავლეებს კავკასიის სხვა და სხვა სააგარაკო ადგილებზედ.

✦ როტშილდის მეარტელის გამძარცველთა დაჭერა უფრო შემთხვევის ბრალი ყოფილა. როცა ავაზაკები ფულიან ტომრით გაქცეულან მთისაკენ, გზა შეშლიათ და პირდაპირ იქითკენ წასულან, სადაც ციხის დარაჯები იდგნენ ხოლმე. აქ გავლის ნება არავის არ აქვს, თვით აფიცერსაც კი, თუ მას განსაკუთრებული ნებართვა არ აქვს აღებული. ციხის დარაჯს შეუძახებია ავაზაკებისათვის. ესენიც სხვა მხრისაკენ წასულან, მაგრამ აქაც ასეთივე დარაჯი დახვედრიათ. მაშინ ერთ მათგანს ბერდანკა უსვრია დარაჯისათვის და ფეხში დაუჭრია. სროლაზედ სხვა დარაჯებიც მოცვივნულან, თოფები დაუშენიათ ავაზაკებისათვის და ერთი მათგანი იქვე მოუკლავთ (ლორთქიფანიძე). ორი გაქცეულა; დარაჯები უკან დადევნებიან. ამასობაში პოლიციაც მისულა. რამდენიმე ხნის ძებნის შემდეგ, უნახავთ ორი კაცი ნაბდებით სრულებით უიარაღოთ. ესენი წყნარად თურმე ისხდნენ და როცა შეეკითხნენ, თუ რას აკეთებდნენ აქ, სთქვეს, რომ ისე, სასეირნოდ წამოვედითო. მიუხედავათ ამისა, ისინი მაინც შეიპყრეს და ცალკ-ცალკე კამერებში ჩასვეს. ერთი მათგანი, სულ 19 წლის ყმაწვილი, გამოტეხილა, რომ ისა და მისი ამხანაგი სხვებთან ერთად იყვნენ მეარტელეს გამძარცველნი; თან უჩვენა კიდეც ადგილი, სადაც იარაღი შეინახეს პოლიციის თვალის ასაბმელად, მეორე კი ჯერაც უარს ამბობს ყველაფერზედ.

მოკლული ლორთქიფანიძე მინგრელსკი პოლკის ჯარის კაცი ყოფილა, სახლში დროებით გაშვებული. მკვლელობის მეორე დღეს იგი პოლკში უნდა დაბრუნებულიყო.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დანიშნა განსაკუთრებული კომისია რეალურ გიმნაზიის დირექტორის ბ. ტირიუტინის თავმჯდომარეობით შესამოწმებლად პირველ გიმნაზიის მერვე კლასელების საეგზამენო ნაწერებისა მათემატიკიდან.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ „გადასახლების“ სამმართველოს განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე ბ. როზალიონ-როშალსკი, რომელსაც მინდობილი აქვს კავკასიაში რუსთა დასახლების საქმის გამგეობა, მიიწვიეს პეტერბურგს განსახილველად ზოგიერთ კითხვებისა, რომელიც ეხება კავკასიაში რუსების დასახლების საქმეს („ნოვ. ობ.“).

✦ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა უკვე შესდგა. გამგეობის თავმჯდომარედ და ხაზინადრად აირჩიეს ისევ ძველები — ბ. სულხანიშვილი და ბ. ყიფიანი. მდივნად ამორჩეულ იქმნა ბ. გ. რცხილაძე.

✦ კავკასიის საბეითალო ნაწილის მმართველობაში ლაპარაკია აღძრულა იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია წელს კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაზე შინაურის პირუტყვების გამოფენა. აღნიშნულ სამმართველოს საბეითალო კომიტეტს სხდომა ჰქონდა 19 მაისს და, მიუღია რა სახეში ის გარემოება, რომ წელს ბევრს კუთხეებში არის მოდებული საქონლის ჭირი, ის აზრი გამოუთქვამს, რომ ყოვლად შეუძლებელი იქნება გამოფენაზედ საქონლის მოდენა, თუ გამოფენის დაწყებამდე სრულიად არ იქმნა მოსპობილი ყველგან საქონლის ჭირი. საბეითალო კომიტეტის ეს დადგენილება შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს უკვე დაუმტკიცებია წასულ მაისის 24.

ამ დღეებში კავკასიის საბეითალო ნაწილის მმართველობამ შეატყობინა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, მხედველობაში იქონიოს ეს ზემორე აღნიშნული გარემოება გამოფენაზედ წელს ექსპონატების მიღების დროს.

✦ რადგანაც ალექსანდრეს ბაღში სამხედრო მუსიკა 5 საათიდგან მოდის (კვირასა და ხუთშაბათს) და ამ დროს კი იქ ხალხი ცოტა არის, ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, რომ საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე უკრავდეს ხოლმე მუსიკა, ხოლო, რადგანაც ქალაქის ეს ერთად ერთი ბაღი ჯეროვანად განათებული არ არის, ამიტომ გადასწყვიტეს მიუმატონ კიდევ ოთხი საუკეთესო სისტემის ფარანი, რისთვისაც ამ საქმისათვის გამგეობამ გადასდო 528 მან. ერთ ფარანს დადგამენ ბაღის ზემო ნაწილში და სამს — შუა ნაწილში.

✦ მესამე სავაჟო გიმნაზიის ადმინისტრაციას გადაუწყვეტია შეიძინოს საკუთარ შენობისათვის ადგილი ვერაზედ, სათავადაზნაურო სკოლის მომავალ შენობის ახლო.

✦ გუშინწინ, გათენებისას, ასე დილის 4 საათზე დიაკონ ბ—ს სადგომში (გრიბოედოვის ქ., იზმიროვის სახლი) მომხდარა შემდეგი ქურდობა: ხსენებულ სადგომის კარი ღია ყოფილა და კარებში თურმე ბ—ს სძინებია. ქურდს გადაულაჯებია მძინარესთვის და დაუწყია თავისუფლად თარეშობა სადგომში. ხმაურობაზე გამოღვიძებია ბ—ს ცოლს და ყვირილი დაუწყია. ყვირილზე გამოღვიძებია ქმარს, მაგრამ ქურდს მაინც მოუსწრია მისი ხელმეორედ გადალაჯება და ბალკონზე გავარდნა, მაგრამ აქ მოუსწრეს მას ბ—მ და მისმა ძმამ. რაკი ქურდს ხელში არაფერი ჰქონდა, ეგონათ, რომ მას არა წამოუღია რა სადგომიდანო, მაგრამ მაინც კარგად მიებერტყათ და ბალკონიდან გადმოეგდოთ. ქურდი მალე გონს მოსულა და გაქცეულა და მხოლოდ მერე შეიტყეს, რომ მას თან წაეღო საათი ოქროს ძეწკვით.

✦ ამას წინად კავკასიის გამოფენის გამგე კომიტეტმა დაღესტნის სამხედრო გუბერნატორს გაუგზავნა ოცი თუმანი დაღესტნის ოლქში ექსპონატების მოკრებისა და ტფილისში გამოგზავნის ხარჯად; გუბერნატორი ატყობინებს ახლა გამგე-კომიტეტს: რომ სრული სურათი იქნეს გამოფენაზედ დაღესტნის ოლქში მრეწველობა-მეურნეობისა, საჭიროა კიდევ მეტი ფული ექსპონატების გამოსაგზავნად და ამიტომ კიდევ დაგვეხმარეთ ფულის გამოგზავნითო.

✦ ოთხშაბათს, 13 ივნისს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში ცხენის რკინის გზის თვალ-ყურის მგდებელ კომისიას ჰქონდა სხდომა, რომელზედაც მოწვეული იყვნენ აგრეთვე უსახელო საზოგადოების დირექტორები ბ-ნი რიდზინსკი და ბლანში. სხვათა შორის, ლაპარაკი აღიძრა გზის ჯეროვანად შეკეთებაზე. ამ საქმის შესახებ ბ-ნმა რიდზინსკიმ განაცხადა, რომ, რადგანაც ახლო მომავალში მთელი ეხლანდელი ლიანდაგი უნდა შეიცვალოს ელექტრონის ტრამვაის გამართვის გამო, გზის ეხლანდელ რელსების შეცვლა სრულიად მოუხერხებელიაო; ხოლო რაც შეეხება შეკეთებას და ალაგ-ალაგ რელსების შეცვლას, ამისათვის ყოველივე ღონე იქნება მიღებულიო. კომისიამ გადასწყვიტა შაბათს, 16 ივნისს, ბ-ნ რიდზინსკისა და ბლანშის თანადასწრებით ერევნის მოედნიდან დაწყებული დაათვალიერონ რკინის გზის ყველა შტოები და შეამოწმონ, თუ სად დასჭირდება გზას შეკეთება.

✦ პოლიციის მეოთხე ნაწილის ბოქაული თხოულობს, რომ თამამშევის ქარვასლასთან იყოს განსაკუთრებული პოლიციელი, რადგან ახლა აქ მდგომ პოლიციელს მოვალეობად აძევს სხვა ადგილების ყურის გდებაც. პოლიციელის შენახვა უნდა იკისრონ ქარვასლის პატრონებმა.

✦ სატახტო გაზეთების სიტყვით, სახელმწიფო საბჭოს უნდა მიეღოს ახალი კანონი, რომელიც ცოტათი სცვლის არსებულ კანონს მწერლობის შესახებ.

✦ განზრახვა აქვთ, ისტორიის, პედაგოგიის, ფსიხოლოგიის და ლოღიკის სწავლება შემოიღონ, გარდა ფილოლოგიურისა, სხვა ფაკულტეტებზედაც.

✦ ტფილისის სასამართლოს დაწესებულებებში 1 ივნისიდან სექტემბრამდე მუშაობა იქნება დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე

✦ ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიამ განიხილა გამგეობის მოხსენება პირველ საობლიგაციო სესხის შესახებ და დარწმუნდა, რომ ნაწილი ამ სესხისა, რომელიც უნდა დახარჯულიყო მუხრანის ხიდის ასაშენებლად, მოხმარებია სულ სხვა დანიშნულებას. ამიტომ, ხსენებულ კომისიის აზრით, დახარჯული ფული უნდა დაბრუნდეს და მოხმარდეს პირვანდელ თავის დანიშნულებას.

✦ კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის გამგე კომიტეტმა გუშინ 100 მან. გაუგზავნა ზაქათალის ოლქის უფროს იქ სხვა და სხვა ექსპონატების მოსაკრებად და გამოფენაზედ გამოსაგზავნად.

✦ მესამე გიმნაზიაში კურს დამთავრებულთაგან 6 მა მიიღო შემწეობა 200 მანეთიდან 250 მანეთამდე თითოეულმა.

✦ ტფილისის პირველი სავაჟო გიმნაზია სააგარაკოდ წავიდა მანგლისში.

✦ ქ-ბ. სუნდუკიანცმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, დაუნიშნოს შემწეობა ქალთა საკვირაო სკოლას და ვლობრის იაფ-ფასიან სამკითხველოს.

✦ აი საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ ესმისთ ზოგიერთებს მნიშვნელობა კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენისა. გამოფენის კომისარმა, როგორც ვიცით, მიჰმართა ყველა დაწესებულებებს თხოვნით, დახმარება გაეწიათ გამოფენის გამგე-კომიტეტისათვის ხალხში გამოფენის მნიშვნელობის გავრცელებითა და სხვა და სხვა მეურნეობა-მრეწველობის ნაწარმოებთა მოკრებით გამოფენაზე გამოსაგზავნათ და თანვე გაეგზავნა მათ პროგრამები და სხვა. ერთი ასეთი მიწერილობა გაეგზავნა ჯიბრაილის მაზრის უფროსს, რომელსაც გადაუცია ეს მიწერილობა აღსასრულებლად ამ მაზრის 1 ნაწილის ბოქაულისათვის; ამას თავის მხრით მეორე ნაწილის ბოქაულისათვის გაუგზავნია და ასე უწრიალებია ამ ქაღალდებს მთელს მაზრაში და ბოლოს ისევ მაზრის უფროსისთვის დაუბრუნებიათ ზედ წარწერით: არავინ არ არის ჩვენს საბოქაულოში ისეთი პირი, რომელიც სასარგებლო იქნეს, როგორც ექსპონენტი, გამოფენისათვისო; ასეთისავე ზედ წარწერით ჯიბრაილის მაზრის უფროსმა ამ დღეებში ეს ქაღალდი დაუბრუნა გამოფენის კამისარს.

✦ სადგურ ევლახიდან გვწერენ: „ივნისის 10 აქ აკურთხეს სადგურის ახალი შენობა. კურთხევის შემდეგ გაიმართა სადილი, რომელზედაც, სხვათა შორის, რკინის გზის ერთის მოსამსახურის წინადადებით 100 მანეთამდე შეაგროვეს მომავალ სამკითხველოსათვის, რომელიც უნდა გაიმართოს აქ რკინის გზის მოხელეთათვის“.

✦ დღეს, 15 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები: სანდრო ბაგაურისა, რომელიც ცხინვალის ნაწილის მომრიგებელ მოსამართლეს უჩივის; იპოლიტე ამბრიოლიძისა, რომელსაც ყიფიანისათვის შეურაცხების მიყენება ბრალდება; ალექსანდრე გიკაშვილისა, ქურდობის ჩადენა ბრალდება, ილია ტატიშვილისა, რომელსაც სხირტლაძის შეურაცხების მიყენება ედება ბრალად, ალექსი ვეფხვაძისა, რომელსაც მეჩითოვის მოკვლის მუქარა ბრალდება, გიორგი ჩიტაძისა და სხვ.

✦ ოთხშაბათს, 13 ივნისს, საკრებულოს საზაფხულო ბაღში, გამართული იყო მესამე იაფ-ფასიანი სომხური წარმოდგენა სომხეთა მსახიობთა და სცენის მოყვარეთა მიერ. წარმოადგინეს ჩეხოვის 4 მოქ. კომედია „შინაური იდუმალი სიყვარული“. როგორც გასულ წარმოდგენებმა, ამ წარმოდგენამაც კარგად ჩაიარა. საყურადღებოა სცენის მოყვარე ქალის ო. გულაზოვის თამაშობა. მას ეტყობა ნიჭი და თავისუფალი მიხვრა-მოხვრა აქვს. ხსენებული ბაღი კარგადაა მოწყობილი წარმოდგენებისათვის, მაგრამ ჯერ ერთი, რომ ქაღალდის და ნარდის მოთამაშენი უშლიან მაყურებელთ სცენის ყურის გდებას და მეორე — წარმოდგენა იაფფასიანი არ გამოდის, რადგან ბაღში შესვლაზე 50 კ. ყველას ახდევინებენ.

პროვინცია

ქუთაისი. ქალაქის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე (11 ივნისს) უნდა განეხილათ მოხსენება სარევიზიო კომისიისა წინანდელ გამგეობის მოქმედების შესახებ 1898 წ., მაგრამ, თანხმად ეხლანდელ გამგეობის წინადადებისა, ამ საქმის განხილვა გადაიდო სექტემბრისათვის.

ამავე სხდომაზე საბჭომ მიიღო გამგეობის წინადადება შესახებ შუამდგომლობის აღძვრისა სათანადო მთავრობის წინაშე, რათა 4 წლით კიდევ დარჩეს ხიდებზე არსებულ ბაჟის ხდევინება. შემოსავალი ამ ბაჟიდან უდრის 16,000 მან.

შემდეგ საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება ქალაქის მიწის შესახებ მესხეთის ქუჩაზე. როგორც ვიცით, შარშან საბჭომ მისცა საქალაქო სასწავლებელს ნახევარი თავის მოედნის მესხეთის ქუჩაზე. ნახევარი უნდა ყოფილიყო 2000 ოთხ-კუთხ. საჟ., მაგრამ საქალა-

ქო სასწავლებლის ინსპექტორის აზომვით მთელი მოედანი 4 ათასი კი არა, 3200 ოთხკუთხ. საჟენამდე ყოფილა. ქალაქის გამგეობას ინსპექტორის ქაღალდის მიღებისათანავე ადგილობრივ დაუხედავს მიწა, რამდენჯერმე გაუზომავს ის და აღმოუჩენია, რომ მას აკლია 600 ოთხ-კუთხ. საჟენამდე. ყოველივე ამის შესახებ გამგეობამ წარუდგინა საბჭოს მოხსენება, რომელშიაც იგი იძლევა წინადადებას, მიეცეს საქალაქო სასწავლებელს ნახევარი იმ ადგილისა, რომელიც ეხლა ხელში აქვს ქალაქს; შესახებ იმ მიწისა, რომელიც დღეს ქალაქს აკლია, საქმე შესდგება და თუ მოიგოს ქალაქმა, სასწავლებელს თავის ნაწილი მისცეს. საბჭომ ერთხმად მიიღო გამგეობის მოხსენება.

ყოველივე ამის შემდეგ საბჭომ მიიღო გამგეობის მოხსენებები ნიხრის შესახებ და დაუკლო თითო კაპეიკი ხორცსა და პურზე.

შემდეგ ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, თუ ვინ შეუკრას ბ. მიხაილოვს პირობა ქალაქში მიღებით წყლის გაყვანის საქმეში «პირველად,— მოახსენა საბჭოს მოურავმა,—საბჭომ მიანდო ეს საქმე ბ. ჩიმაკაძეს; შემდეგ ამ უკანასკნელის გადაყენებისა, საბჭომ მიანდო ხელშეკრულობას ნოტარიუსის წესით შედგენა ქალაქის თავის მოადგილეს; ეხლა კი საჭიროა ახალი გარდაწყვეტილება, რადგანაც არ არის არც ბ. ჩიმაკაძე და არც ქალაქის თავის მოადგილე». საბჭომ ერთხმად დაავალა ქალაქის თავს ამ საქმის ნოტარიუსის წესით შესრულება.

ბოლოს საბჭომ განიხილა კიდევ რამდენიმე კერძო თხოვნა და კრება გათავდა 11 საათზე.

დ. მ.

თიანეთი. 5 თიბათვეს აქ მოველოდით საქართველოს ეგზარხოსს ფლაბიანეს, მაგრამ მოლოდინი გაგვიცრუვდა იმ მიზეზით, რომ გადაუღებელმა წვიმებმა გზები სულ მთლად წახდინეს და ამიტომ არქიელის მოსვლაც ჩვენს მხარეში გადადებულ იქმნა. მოვიდა 6 ივნისს მხოლოდ ბ. ინსპექტორი კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისა ე. ბ. მამინაიშვილი. ადგილობრივ სკოლის დარბაზში იმ დღესვე წარუდგნენ ბ. ინსპექტორს თიანეთის მაზრის, კავკასიაში ქრ. აღ. საზ., სკოლების მასწავლებელნი და ზოგი სკოლის, მაგალითად, ბარისახოსი და მადართს კარის მოწაფენიც თავიანთი მშობლებით. ბ. მამინაიშვილმა გამოსცადა ეს მოწაფენი ცოდნაში და კმაყოფილი დარჩა მათი პასუხებით. შემდეგ გამოცდისა დაიწყო მასწავლებელთა კრება ბ. ინსპექტორის თავმჯდომარეობით. კრება შესდგა იმ მიზნით, რომ გამოერკვიათ ერთნაირი აზრი შესახებ საგნების სწავლებისა მასწავლებელთა სახელმძღვანელოდ, რომ ყველა კავკ. ქრ. აღ. საზ. სკოლებს ერთნაირი მიმართულება და ხასიათი ჰქონდეს. ამის შესახებ ბევრი აზრი წარმოითქვა კრებაზე როგორც ბ. მამინაიშვილის მიერ, ისე მასწავლებლების მიერ. კრების დადგენილება ამ საკითხის შესახებ წარედგინება კავკასიაში ქრ. აღ. საზ. საბჭოს. კრების მეორე დღეს ე. ი. 7 ივნისს ბ. ინსპექტორმა საჯაროთ გამოსცადა თიანეთის ორ-კლასიან სკოლის შეგირდები. გამოცდას დაესწრნენ სკოლის მზრუნველი თიანეთის მსაჯული ა. ს. გამრეკელი, მაზრის უფროსის თანაშემწე ნ. კ. ფურცელაძე, ერწოს ბოქაული თ. დ. ბარათაშვილი, კორნეტი დარითხოვი და ყველა, ვინც წინა დამით კრებას დაესწრო. გამოცდამ საუკეთესოდ ჩაიარა. მნახველი ხალხი დარწმუნდა სკოლის დიდ მნიშვნელობაში. მასწავლებელნი იმ დღესვე დაიშალნენ ბ. მამინაიშვილი კი გაემგზავრა თავისკენვე დაარსებულ ხევსურეთის სკოლების დასათვალიერებლად.

თიანელი.

ქართველ კათოლიკენი ახალქალაქისა და ახალციხის მაზრაში

ხიზაბავრა (ახალქალაქის მაზრა) უკანასკნელ წლებში, მამა მიხეილ ვარძელაშვილის თაოსნობით ს. ხიზაბავრაში აშენდა ქართველ კათოლიკეთათვის მშვენიერი თლილი ქვის ტაძარი. იგი შემკობილია ქართულის წარწერებით და მას ნამდვილი საგვარტომო სული მოსია გარს; ასეთი ტაძრის აგება ამისთანა მიყრუებულს კუთხეში დიდ შრომას და ღვაწლს მოითხოვს ადამიანისაგან.

ჯავახეთში ქართველი გვარის კათოლიკენი შემდეგ სოფლებში სცხოვრობენ:

ხიზაბავრას—180 კომლი, ორივე სქესის 1800 სული. სულ ქართულად მოლაპარაკენი.

ვარგავს—23 კომლი, სულ 200 სული. ქართულად ლაპარაკობენ.

ბნელა—5 კომლი, 40 სული. ქართულად ლაპარაკობენ.

ტურცხა—სულ 600 კომლია. ქართული ენა დაკარგეს, სომხურსა და თათრულს ლაპარაკობენ, ეკკლესიაში წირვა-ლოცვა სომხურად აქვთ.

კარტიკანი—1200 სული, ქართული ენა დაკარგეს, მთლად სომხურ-თათრულს ლაპარაკობენ. ეკკლესიაში სომხურად სწარმოებს წირვა-ლოცვა, აქვთ სამინისტრო სკოლა და იქაც რუსულ და სომხურს ენაზე სწარმოებს პატარა ქართველთ მესხების და ჯავახების სწავლა.

ხოლგუმო—500 სული, ქართული ენა დაკარგეს, სომხურსა და თათრულს ენაზე საუბრობენ, წირვა-ლოცვაც ამ ენაზე სწარმოებს. ქადაგებას ხან კი თათრულადაც წარმოსთქვამენ, რადგანაც მრევლს თათრულიც ემარჯვებათ.

ბავრა—400 სული. ქართული ენა დაკარგეს, სომხურს და თათრულს ლაპარაკობენ. ორი სოფელი ძევს არტაანის ხეობისაკენ, სახელდობრ, პურმა, სადაც ქართველთ ტომის ძენი სცხოვრობენ, ხოლო თათრულ-სომხურად საუბრობენ. მეორე სოფელი ალექსანდრეპოლის მაზრაში ძევს, ტიტოხარება, სადაც სულ ქართველ ტომის კათოლიკენი სცხოვრობენ, მაგრამ ქართული ენა დაკარგული აქვთ, სომხურ-თათრულ ენებზე ლაპარაკობენ.

ამ სოფლებს გარდა სხვა სოფლებიც არის, სადაც სომეხთა გვარის კათოლიკეებთან ქართველ გვარის კათოლიკენიც სცხოვრებენ, მაგრამ მათ ჩვენ აქ არ აღვნუსხავთ. მათაც დაკარგეს ქართული ენა, ასეთია ეს სოფლები: ვარევანი, ეშტია, უჯმანა, ალასტანი, ტორია და სხვანი.

ახალციხის მაზრაში სცხოვრობენ შემდეგ ადგილებში ქართველთა გვარის კათოლიკენი:

უდე—1600 სული ქართულად მოლაპარაკენი. აქ არსებობს სამინისტრო სკოლა და „ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სახალხო სამკითხველო. სამკითხველო ვნახე და მის სარგებლობის ნიშან-წყალს ცხადლივ შევატყე. მესხები მშვენივრად შესჩვევიან ქართული გაზეთების კითხვას. სანატრელია, ასეთმხარეში ამისთანა საქმე.

არალი—700 სული, სულ ქართულად ლაპარაკობენ.

ვალე—რვაასი სული. ქართულად ლაპარაკობენ.

ბალაჯური—40 სული, მთლად ქართულად ლაპარაკობენ.

ზოგნიც სცხოვრობენ სომხის გვარის კათოლიკებთან ერთად, მაგალითად, სოფლებს: ნაოხრებს, ღჯულგას, კულალის, წინა-უბანს, სუფლისს, აბდახევს, წყალთფილას, მუსხს და სხ. მაგრამ ამათ ჩვენ სიმცირის გამო არ მოვიხსენებთ. ახალციხის სამი ეკკლესიის მრევლი ლაპარაკობს ქართულ ენაზე და სოფ. ივლიტის, ახალციხის გვერდით.

ზოგს ეკკლესიებში ქადაგება და ლოცვები ქართულად სწარმოებს.

ერი შეწუხებულია იმაზე, რომ მათ ქართულს ენაზე წირვა-ლოცვა მოშლილი აქვთ, ამიტომ განიზრახეს მათ, რომ უმაღლეს მთავრობას კვალად მიმართონ თხოვნით, რათა მათ მიეცეს ნება ქართულს ენაზე წირვა-ლოცვის შესრულებისა. ვნახოთ!

ფ. ჯ.

საღამოს დეპეშები

14 ივნისი.

პეტერბურგი. 13 ივნისის ბიულეტენი: „ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული მალე სრულებით კარგად გახდება. ძალა ჩქარა ემატება; თვით-გრძნობა ძალიან კარგი აქვს. დიდი მთავრინა ანასტასია ნიკოლოოზის ასულის მადა და ზრდა კარგად მიდის“.

12 ივნისის ბიულეტენი: „გასული დღე დილმა მთავრინამ მარიამ გიორგის ასულმა ძალიან კარგად გაატარა; ტემპერატურა და მაჯა ნორმალური აქვს.“

ეკატერინოსლავი. გაჩენილი ცეცხლი ჩაქრა 13 ივნისს. დამწვარი ტყე დაფასებულია 3 მილიონზე მეტად. წისქვილები და სახერხი ქარხნები დაფასებულია ორ მილიონამდე. ტყე დაზღვეული არ არის. დაზარალდა რკინის გზის წყლის საქაჩავი და შენობების მცირე ნაწილი; ქალაქში დაიწვა 42 მოსახლე; საურთიერთო დაზღვევის საზოგადოებამ იზარალა 60.000 მანეთამდე.

ლოძი. ფაბრიკებიანი ქალაქი ბაბინაცი, 15 ვერსტის მანძილზე აქედან, ამ უკანასკნელ დროს გამოცოცხლდა; განსაკუთრებით გაუმჯობესდა საფეიქრო ხელისქარხნები. იქაურ ფაბრიკის მეპატრონეებს დიდი საქმეები გაუჩნდათ. ვაჭრობა ძველებურად აღორძინდა.

სარატოვი. გუშინ ბირჟაზე შესდგა თათბირი ქალაქის წარმომადგენლების და გემების მეპატრონეებისა; დაადგინეს, იშუამდგომლონ, რათა ეხლავე შეუდგნენ მდ. ვოლგის დაღრმავებას ქალაქის პირდაპირ.

კიევი. მ. მათუსოვაში (კიევის გუბერ.) დაიჭირეს ორი მოხუცი მათხოვარი და მათთან ორი თერთმეტის წლის ბავშვი; ბავშვები მოუპარავთ და დაუმახინჯებიათ: ერთს მოჭრილი აქვს ენა და ამოთხრილი აქვს თვალები, მეორეს—ხელები და ფეხები მოგრეხილი. ბავშვები ამბობენ, რომ მესამე ბავშვი მოკვდა დამახინჯების მიზეზით.

კენბარდტი. კაკამასიდან მოსული ინგლისის ერთგული ფერმერები იტყობინებიან, რომ იმ ბრძოლის შემდეგ, რომელიც ნარეოგასხ ახლო საზღვრის დამცველ რაზმებსა და ბურების უფროს კანროეს შუა მოხდა, ბურებმა კამაკამისკენ დაიწიეს და ორანჟეს მდინარეში გავიდნენ. კანროი, კაპელ მეამბოხე ვიკერსთან ერთად, გერმანიის ტერიტორიაზე გადავიდა, რათა მოლაპარაკება გამართოს გერმანელ მოხელეებთან; გერმანელებმა უარი თქვეს და შეიარაღებული ბურები არ მიიღეს. დასასრულ, ბურების ოჯახების 3% გერმანიის სამფლობელოსკენ (სამხრეთ აფრიკაში) გაემართნენ, სადაც გერმანიის მოხელეებმა ქალები და ბავშვები შმიტდრიფტს ახლო ბანაკში დააბინავეს, ხოლო კაცები დაამწყვდიეს.

კასსელი. დღეს ნაშუადღევს, გენერალ შვეინცი დიდებულის პროცესსიით და სამხედრო პატივისცემით დაასაფლავეს.

პარიზი. უმაღლესი სასამართლო. ლიურსალიუსის დამცველმა ჟაკკიემ თავისი სიტყვის დასასრულ მოითხოვა, რომ ბრალდებული გამართლებულ იქმნასო. ლიურსალიუსმა თავის მხრივ გამოაცხადა, რომ არაფერს არა ვნანობ და დარწმუნებული ვარ, რომ პატიოსანი კაცის მოვალეობა არაფრით არ დამირღვევიაო. შემდეგ საქმის განხილვა შეწყვეტილ იქმნა და სენატორები სათათბირო ოთახში შეიკრიბნენ.

პარიზი. ლიურ-სალიუსს საფრანგეთიდან განდევნა გადაუწყვიტეს ხუთის წლით, მაგრამ სახეში მიღებულია შემამსუბუქებელი გარემოებანი. სასამართლო დაიხურა; წესიერება არავის დაურღვევია.

კაპშტადტი. წარსულ კვირას კიდევ სამი კაცი გახდა შავი ჭირით ავად და შვიდი კაცი გარდაიცვალა შავი ჭირისაგან.

როტერდამი. საუზმის შემდეგ პრეზიდენტ კრიუგერმა გაისეირნა. სეირნობის დროს მას გაუმართეს მრავალი ოვაციები. 4 საათზე დიდი მიღება იყო, რომელსაც დაესწრო დიდ-ძალი დეპუტაციები. პრეზიდენტი გულით მადლობას ეუბნებოდა დამსწრეთ. სიტყვებში პოლიტიკას არ შეეხებიან. კრიუგერმა მხოლოდ სთქვა, რომ ინგლისი მზად იყო ომისათვის ჯემსონის შემოსევიდანო.

როტერდამი. კრიუგერი მოვიდა დღეს აქ ამალით და წავიდა ქალაქის საბჭოში ეტლით. პრეზიდენტს თან ახლდნენ ტრანსვაალის ყოფილი აფიცრები. ქალაქის საბჭოში კრიუგერს შეხვდნენ ბურგომისტრი და ქალაქის საბჭოს წევრები. ბურგომისტრის მისალმების შემდეგ კრიუგერმა მადლობა უთხრა მიღებისათვის და გამოსთქვა იმედი, რომ ღმერთი მალე ისევ გაანთავისუფლებს მის ქვეყანას.

პეტერბურგი. გამოცხადებულია დიდი მთავრინას ანასტასია ნიკოლოოზის ასულის ნათვლის ცერემონიალი. ნათლიები იქმნებიან ხელმწიფე დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული, პრინცესა ირინე პრუსიელი, დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ოლღა ალექსანდრეს ასული.

საშუალო სკოლის რეფორმის კომისიამ შეიმუშავა გაკვეთილების ცხრილი; ამ ცხრილის მიხედვით უნდა იქმნეს შემოღებული სწავლება ახალ საშუალო სკოლაში, რომელიც იქმნება მაგიერი ეხლანდელ კლასიკურ გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლებისა. თანახმად ამ ცხრილისა ყველა გაკვეთილების რიცხვი კვირაში უნდა იქმნეს 209. სამღვთო სჯულის გაკვეთილები იქმნება ყველა კლასებში, სულ 14 საათი კვირაში. რუსული ენაც სიტყვიერებისა და ლოღიკის გაკვეთილებით იქმნება ყველა კლასებში, სულ 30 საათი; ლათინური დაიწყება მეოთხე კლასიდან და გაგრძელდება ყველა კლასებში: კვირაში ექნება ამ საგანს 16 საათი; პირველი ახალი ენა იქნება ყველა კლასებში და კვირაში ექნება 20 საათი, მეორე ახალი ენა დაიწყება მესამე კლასში და ექნება კვირაში 16 საათი; ისტორიას ასწავლიან ყველა კლასებში, კვირაში 19 საათს, გეოგრაფიას სამშობლოს აღწერით ერთად ასწავლიან მე-6-ე კლასში, 15 საათს კვირაში; კოსმოგრაფიას ექნება მეშვიდე კლასში 2 საათი, კანონმდებლობას მე-6-ე და მე-7-ე კლასებში 4 საათი, მათემატიკას ყველა კლასებში 28 საათი, ფიზიკას მეხუთე კლასიდან სულ 9 საათი, ბუნების მეტყველებას პირველ კლასიდან სულ 9 საათი, ხატვასა და ხაზვას 17 და სუფთა წერას 3 საათი.

ლეიფციგი დილის გაზეთების სიტყვით, ლეიფციგის ბანკის დირექტორი ევსნერი დააპატიმრეს გუშინ საღამოს და გადასცეს პროკურორს.

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

მთა-წმიდაში, ვეძინის ქუჩაზე № 6 **ვყიდი** ორ-სართულიან **სახლს**, მიწა ზომით 35½ კვად. საჟენი, ბანკის ვალია 2200 მან. ფასის და პირობების შესატყობათ მსურველმა მიმართოს იქვე—მეწვრიმალეს. (2—1)

ტარტიუფი ანუ მუზმუზელა 5 მოქ. კომედია მოლიერისა, ფასი 50 კ. იყიდება წიგნ. გამომ. ქართ. ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქ. ალექსანდროვის ბაღის კუთხეში.

Дозволено цензурою Тифлисъ. 14 Іюня 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა ქართველთა ამხანაგობისა.